

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში

Residential and Utility Buildings in Ajara

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში

2024

სოფელი მეკეიძეები (ხულო)

Village of Mekeidzeebi (Khulo)



საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე - აჭარა გამორჩეულია ლაჟვარდოვანი სანა-პირო ზოლით, სიმწვანეში ჩაფლული მთის ქედებით, მდინარეთა ხეობებით, ანკარა წყაროებით, მჩქეფარე ჩანჩქერებით, მთებზე შეფენილი სოფლებით, ალპური მდელოებით და საოცრად მშრომელი, კეთილგანწყობილი, სტუმართმოყვარე ხალხით.

სოფელი ჩხუტუნეთი (ხელვაჩაური)

Village of Lomanauri (Khelvachauti)

სოფელი ინწკირვეთი
Village of Intskirveti

აჭარის გეოგრაფიული გარემო და განსხვავებული რელიეფი განსაზღვრავს მთისა და ბარის საცხოვრებელი კომპლექსის ტრადიციებს. მთიანი ნაწილის დასახლების ხასიათი, სამეურნეო ყოფა საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებს ადრინდელ, კონსერვატიულ მახასიათებლებს - დასახლების ფორმებს, კულტურული მემკვიდრეობის უწყვეტობას, ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობებს, სამეურნეო ცხოვრების წესს. ალბათ, ამისი დამსახურებაა ის, რომ ზემო აჭარის ბევრი დასახლება, განახლების მიუხედავად, ავთენტური ხასიათისაა და წარმოადგენს რეგიონის ეთნოსოფლის უნიკალურ ნიმუშს.

აჭარის ტერიტორიაზე გამოარჩევენ მთისა და ბარის დასახლებებს. აჭარის დაბლობისა და ზღვისპირა ზოლის დასახლება ქუჩისპირულ-ხაზოვანი ფორმისაა. მთიანი აჭარისთვის შედარებით ტიპურია სერულ-მწკრივული ან ამფითეატრული, ვერტიკალურ-ტერასული სტრუქტურის დასახლებები. ტერასული დასახლების ტრადიციები ჩანს, აგრეთვე, თურქეთის საქართველოს მხარეებში (შავშეთსა და კლარჯეთში). ზოგიერთი მეცნიერის აზრით (ილია ადამია) აჭარის მაღალმთიანი სოფლების დასახლების სისტემა, ლანდშაფტი და ხის საცხოვრებელი სახლები, ასევე, ანალოგიური პირობებისა და საქმიანობის მიხედვით მსგავსებას პოვებს შვეიცარიის სოფლებთან.

სოფელი თხილვანა (ხულო)

Village of Tkhilvana (Khulo)

ზემო აჭარაში საცხოვრებელი სახლები, ძირი-თადად - ნაძვის, ქვემო აჭარაში - წაბლის ხისგან შენდებოდა. სამოსახლოს შესარჩევად მეწყრისგან დაცულ, ტყის მახლობელ ადგილებს ირჩევდნენ. სამოსახლოები, განსაკუთრებით მთიან ზონაში, ხასიათდება ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმით, სამ-შენებლო ოსტატობით, ამ კუთხისთვის დამა-ხასიათებელი, ხის კარკასს დამყარებული, მკვეთრად შვერილი გადახურვითა და ასკეტური იერით. შენობების გარეგნულ სახეში ჩანს ქართულ ხელოვნებაში ასახული ლანდშაფტის ფენომენური თავისებურება - მიწის სტიქიის დომინანტი, ნაგებობის ტექტონიკურობა, სხვადასხვა მასალის სინთეზით განპირობებული ღია და მუქი ფერების კონტრასტი, ფასადების ერთგვარი სიმკაცრე და მინიმალისტური ესთეტიკა.

სოფელი მეკეიძეები (ხულო)
Village of Mekeidzeebi (Khulo)

ალპური
დასახლება
აჭარაში.
იაილები
(სანალია)
The AlpineSet-
tlement inAjara.
Yails (Sanalia)

აჭარის საცხოვრებელი კომპლექსების ვერტიკალურ-ზონალური პრინციპით დაყოფის შედეგად გამოარჩევენ რამდენიმე ზოლს და აჭარულ, ლაზურ და ოდა-სახლის ტიპის საცხოვრებლებს. მეურნეობის ტრადიციული სახეები გავლენას ახდენს თითოეული ზოლისთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი ტიპის ჩამოყალიბებაზე. ქვემო აჭარაში - მიწათმოქმედება, ხოლო ზემო აჭარაში გავრცელებული მესაქონლეობა განაპირობებს საცხოვრებლის განსხვავებულ ფუნქციურ გადაწყვეტას.

ალპური დასახლება აჭარაში.
იაილა (ბეშუმი)
The Alpine Settlement inAjara.
Yaila (Beshumi)

ალპური და სუბალპური ზონის საზაფხულო საძოვრებზე გავრცელებულია ერთ და ორსართულიანი ჯარგვალური საცხოვრებელი ნაგებობები ცალკე მოწყობილ ან „იაილის“ (საზაფხულო საძოვრებზე დადგმული ერთ ან ორსართულიანი სახლი) ქვედა სადგომშივე მოქცეული ბოსლით.

მთის ზონაში (სამხრეთ-აღმოსავლეთი ზონა, ქობულეთის მაღალმთიანი ხინოს დასახლება) დადასტურებული ე.წ. „აჭარული ტიპის“ საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს რთულ კომპლექსს მასში გაერთიანებული სხვადასხვა დანიშნულების საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსებით: ხალხამი, ახორი, საცხოვრებელი ნაწილი და თავანის სართული ზამთრის ბეღლისთვის. აჭარული სახლის დამახასიათებელი ნიშანია შენობის კომპლექსის ვერტიკალური ორგანიზაცია და საცხოვრებელი ფართის სეგმენტაცია დერეფნის ორ მხარეს განლაგებული ოთახებით, რომელთა შორის გამოიყოფოდა საუფროსო სახლი და სამზარეულო, ახლადაქორწინებულთა ოთახი, პროდუქტების შესანახი „სარძიე“ სათავსი და მორთულობით გამორჩეული სტუმრის ოთახი - „მეიდან-ოდა.“

სოფელი ხიხაძირი (ხულო)

Village of Khikhadziri (Khulo)

სოფელი ჭერი (ხულო)

Village of Tcheri (Khulo)

სოფელი ტაკიძეები (შუახევი)

Village of Takidzeebi (Shuakhevi)

აჭარის საცხოვრებლის მეორე ზონაში ახორის ნაცვლად მარანი ან სამეურნეო ტიპის სათავსია, რაც მიწათმოქმედების, მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციული დარგების დომინანტურობას ადასტურებს. ქედა-ხელვაჩაურის ზონის საცხოვრებელი სახლები დაგეგმარებით აჭარული სახლის ტიპისაა, თუმცა ისინი ნაგებია შერეული მასალით. ამავე ზონაში გავრცელებულია აჭარული სახლის გეგმის მქონე ე.წ. ციხე-სახლები, რომელთაც ახასიათებს ქვითა და კირხსნარით ნაგები პირველი სართულის პალატები ბუხრებითა და ხეობებისკენ გახსნილი, ზოგჯერ სათოფურების მსგავსი, თაღოვანი სარკმლებით. შენობებს გამოარჩევს ლანდ- შაფტს მორგებული მდებარეობა, ფასადების განსხვავებული მოცულობები, მაღალი სამშენებლო კულტურა, კარგად დამუშავებული ქვის კვადრების წყობა, ფორმების ოსტატობა. მთის ფერდზე შეფენილი სახლების თავისებურებას სივრცესთან განუყრელობა და გარემოს ულამაზესი ხედებით ტკბობა წარმოადგენს. საცხოვრებელი შენობების ინტერიერიდან ხეობების შორი პანორამა იშლება. სივრცისკენ სწრაფვის გამოხატულებაა საცხოვრებელი სახლების გახსნილი ვერანდებიც. ამავე ზონაში საკარმიდამო კომპლექსებთან დაკავშირებული ქვითკირით ნაგები მარნები, კლდეში ნაკვეთი და ნაშენი საწნახლები, კერამიკული ქვევრები აქ მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის არსებობაზე მიგვანიშნებს.

სოფელი ჩხუტუნეთი (ხელვაჩაური) **Village of Chkhutuneti (Khelvachauri)**

აჭარის მესამე - სანაპირო ზოლში ფართოდაა გავრცელებული საკარმიდამო რელიეფის კიბისებურ-ტერასული სტრუქტურა, რომე- ლიც დასავლეთ საქართველოს რეგიონების (გურია, სამეგრელო, იმერეთი) კარ-მიდამოს დაგეგმვის წესების გავლენას ამჟღავნებს. ამ ტიპის სამოსახლოებს ახასიათებს ფიცრული და შერეული სამშენებლო მასალით (ხე, ქვა, აგური) ნაგები ერთ და ორსართულიანი ოდა-სახლები, კარ-მიდამოს დეკორაციული და სამეურნეო ეზოების განცალკევება, წინა ეზოს აქცენტირება დეკორატიული ჭიშკრით, ეგზოტიკური მცენარეებით, ყვავილნარებით, ბილიკებითა და ფანჩატურებით. კომპლექ-სის სამეურნეო ნაწილში თავსდება საზაფხულო სამზარეულო, ბეღელი, ხულა, შეშის ფარდული, ახორი, საქათმე, სკები, არყის სახდელი ფარდულები და სხვ. განაშენიანების ხასიათი, საცხოვრებელი და სამეურნეო ტერასების მოხერხებული დაკავშირება საკარმიდამო კომპლექსს მთლიან ხუროთმოძღვრულ ორგანიზმად აქცევს.

აჭარის ამავე სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლ-ში გამოარჩევდნენ ლაზური ტიპის საცხოვრებელ სახლებს („ოხოი“), რომელიც წარმოადგენდა ერთ ან ორსართულიან სახლს ქვით ნაგები ქვედა სართულით, ღიად დატოვებული ვერანდით, საჯალაბო დარბაზითა და თიხატკეპნილ იატაკზე კერიით, რომელსაც მოგვიანებით ჩაენაცვლა დარბაზის მთავარი ატრიბუტი - მოზრდილი ფორმის, გარეთ გატანილი ტანის მქონე „ლაზური ბუხარი“. თლილი ქვის ნახევარწრიული თაღით შემოსაზღვრულ ლაზურ ბუხარს არ ახასიათებს ე.წ. თარო, ლავგარდანი, რომელიც კოლხეთის ოდა-სახლების ბუხრების აუცილებელი ელე-მენტია.

სოფელი პირპილეთი (ხელვაჩაური)

Village of Pirpileti (Khelvachauri)

სოფელი ჩიქუნეთი (ხელვაჩაური)

Village of Chikuneti (Khelvachauri)

დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აჭარის საცხოვრებელ ნაგებობებს გამოარჩევს მინიმალისტური დეკორატიული შემკულობა, თუმცა საცხოვრებელი სახლების ინტერიერში გვხვდება ჭერის ორიგინალური ხონჩისებური შემკულობა, კედლებში გამართული თახჩებისა და კარადების, ფანჯრის დარაბების („სურმების“), კარ-ფანჯრის საპირეების, აივნების, ხის სვეტების, მოაჯირების, სახურავის შვერილი კარნიზის („სარაიბაღის“) ჩუქურთმით მორთვის ტრადიცია.

სოფელი ფურტიო (შუახევი)

Village of Furtio (Shuakhevi)

აჭარულსახლებსადახისმეჩეთებშიდადასტურებული ორნამენტული ჩუქურთმები, ორიგინალურად შემ-კული ბუხრის ქვები ძირითადად ლაზი ოსტატების ნახელავადაა მიჩნეული. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო მშენებელ ოსტატებად და ხის ნაკეთობათა „უსტებად“ იყვნენ მიჩნეული. მათ მიერ აგებული ხის სახლები, ეკლესიები და მეჩეთები დღემდეა შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იმერეთი, გურია, სამეგრელო, მესხეთი). საცხოვრებელ და საკულტო შენობებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე დატანილი რელიეფური და ჭვირული ტექნიკით შესრულებული ორნამენტი, მცენარეული, ზოომორფული მოტივები, ციურ მნათობთა გამოსახულებები წარმოაჩენს ქართველთა უძველეს მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებს სამყაროს შესახებ. ზოგჯერ სახლების საკრალურ კერას - ბუხრის თავს ამკობს წარწერები, ყვავილოვან-ფოთლოვანი მოტივები, სიცოცხლის ხის, მზის, წყლის, მიწის, მთის, თოფის, ხმლის ან სხვა პირობითი გამოსახულებები, რაც ბოროტი ძალებისაგან დაცვის ფუნქციის გარდა ადასტურებს, რომ ისლამის გავრცლების პერიოდშიც (XVII-XIX სს), აჭარაში შენარჩუნებული იყო ქართველთა ხატოვანი აზროვნებისათვის დამახასიათებელი საგნობრივი ნიშან-სახეობრივი სისტემა.

აჭარული სახლის ინტერიერი (ჩაქვი)
Interior of an Ajarian House (Chaqvi)



აჭარული სახლის ინტერიერი

Interior of an Ajarian House

წისქვილნარი.

Miller

ნალია.სოფელი ჩხუტუნეთი (ხელვაჩაური)
A Barn. Village of Chkhutuneti (Khelvachauri)

საცხოვრებელი საკარმიდამო კომპლექსების განუყოფელი ნაწილია ხითხუროობის მაღალი ტრადიციების მქონე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები - ახორი /ბოსელი (საქონლის სადგომი), საბძელი (პირუტყვის საკვების შესანახი სათავსი), ბეღელი და ნალია (მარცვლოვანი კულტურების შესანახი ნაგებობა), წყლის წისქვილი, ქვით ნაგები საოჯახო ფურნე, რომელიც აჭარის სინამდვილეში მკაცრი კლიმატური პირობების გავლენის ნიადაგზეა წარმოშობილი და სპეციალურად სიმინდისა და ხილის სახმობადაა გათვალისწინებული.

ნალია-სასიმინდე - ღომის, ფეტვის, მოგვიანებით - სიმინდის გასახმობად გამოსაყენებელი შენობაა, ჭდობით შეკრული ხის სარტყლებზე დამყარებული ხის ბოძებით, ორქანობა ან ოთხფერდა გადახურვის მქონე ფიცრული სწორკუთხა სათავსით, რომელსაც ეკვრის აივნები - ერთ, ორ ან იშვიათად - სამივე და ოთხივე მხარეს. მოხდენილი პროპორციებითა და ოსტატობით გამორჩეულ ზოგიერთ ნიმუშს დეკორატიული შემკულობაც ახლავს. გამჭოლი განიავების მიზნით, ფიცრულ კედლებს პარალელურ მხარეებზე ვიწრო ჭუჭრუტანები ან ჭვირული დარაბები გასდევს. სასიმინდის სართულში ასვლა მისაყუდებელი კიბით შეიძლება.

ნალია. სოფელი ჩიქუნეთი (ხელვაჩაური) **A Barn. Village of Chikuneti. (Khelvachauri)**

ფურნე. სოფელი თხილვანა (ხულო)

A Bakery. Village of Tkhilvana (Khulo)

აჭარის საცხოვრებელი ნაგებობების ზოგადი სურათი წარმოაჩენს საცხოვრებელი კომპლექსების მრავალფეროვნებას, ქართული ხალხური ხითხუროობის საუკუნეებიდან მომდინარე ტრადიციებს და გეოგრაფიული არეალით განპირობებულ, რეგიონისთვის დამახასიათებელ ლოკალურ თავისებურებებს, რაც ძირითად გამოვლინებას ლანდშაფტთან დამოკიდებულების, ნაგებობის ფუნქციური დანიშნულებისა და მხატვრული გააზრების ხასიათში პოვებს.

Residential and Utility Buildings in Ajara

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში

ალპური დასახლება აჭარაში (ბეშუმი)

The Alpine Settlement in Ajara (Beshumi)

სოფელი თხილვანა (ხულო)

Village of Tkhilvana (Khulo)

One of the most beautiful corners of Georgia - Ajara is distinguished by its azure coastline, mountain ranges hidden in greenery, river valleys, pure springs, rushing waterfalls, villages scattered on the mountains, alpine meadows and amazingly hardworking, kind, hospitable people.

The geographical environment and diverse relief of Ajara determine the traditions of the highland and lowland residential complex. The nature of the settlement of the mountainous part, the economic life has preserved the earlier, conservative features for centuries - forms of settlement, continuity of cultural heritage, traditional social relations, agricultural way of life. Perhaps, it is due to this fact that a number of settlements of Ajara highlands, despite the renovation, are authentic in nature and represent a unique example of the "ethno-village" of the region.

The territory of Ajara distinguishes between the highland and lowland settlements. The settlement of the Ajara lowland and coastal zone is of "street-linear" form. Settlements with "hill-row" or "amphitheatrical", vertical-terrace structure are relatively typical for mountainous Ajara. Traditions of terraced settlements can also be seen in the Georgian regions of Turkey (Shavsheti and Klarjeti). According to some scholars (Ilia Adamia), the settlement system, landscape and wooden houses of the highland villages of Ajara, due to analogous conditions and activities, are similar to the villages of Switzerland.

Residential houses in Upper Ajara were built mainly from spruce, in Lower Adjara - from chestnut trees. For the settlement area the landslide-proof places were mostly chosen, near forests. The houses, especially in the mountainous area, are characterized by a harmonious
combination with nature, construction skills, typical for this area, with a wooden frame, sharply pitched roofing and an ascetic look. The exterior of the buildings
shows the phenomenal features of the landscape depicted in Georgian art - the dominance of the element of the earth, the tectonic nature of the building, the contrast of light and dark colors caused by the synthesis of different materials, a kind of austerity and minimalist aesthetics of the facades. As a result of division of residential complexes of Ajara according to the vertical-zonal principle, several lanes can be distinguished together with the Ajarian, Laz and Oda-house type dwellings. Traditional types of economy and farming influence the formation of the type of residence characteristic of each lane. Farming in Ajara lowland, and animal husbandry widespread in Ajara highland, lead to different functional housing solutions.

ოდა-სახლი

Oda-house

სოფელი ხაბელაშვილები (შუახევი)

Village of Khabelashvilebi (Shuakhevi)

In the alpine and subalpine zone, one-story and two-story wooden residential buildings are common on the summer pastures, with separately
arranged cow-shed or "yaili" (a one-story or two-story house set up on summer pastures) type with a cowshed in the lower stall. Confirmed
in the mountain zone (south-eastern zone, Kobuleti highland Khino settlement) the so-called "Ajarian-type" residential house is a composite complex with residential and farm buildings of various purposes combined in it: khalkhami floor (stony cowshed), chamber – akhori(stud), living part and attic floor for winter
barn. A characteristic feature of the Ajarian house is the vertical organization of the building
complex and the segmentation of the living space with rooms located on two sides of the corridor, with the following parts - the master's house and the kitchen, a newly-wed couple's room, a storage room for products 'sardzie', and a guest room with a distinguished decoration.

სოფელი ოლადაური (შუახევი)

Village of Oladauri (Shuakhevi)

In the second zone of Ajara housing, instead of akhori, there is a cellar or an agricultural storage, which confirms the dominance of the traditional branches of agriculture, viticulture and winemaking. Residential houses in the Keda-Khelvachauri area are of the Ajarian house type, although they are built with mixed materials. In the same area the so-called castle-houses are widespread,
with Ajarian house plan, which are characterized
by first-floor chambers built of stone and limestone with fireplaces and sometimes with crenel-like arched windows, opening to the valleys. The buildings are distinguished
by their location adapted to the landscape, different volumes of facades, high construction culture, arrangement of well-processed stone blocks, mastery of forms. The peculiarity of the houses scattered on the mountain slope is the inseparability with the space and enjoying the beautiful views of the environment. From the interior of the residential buildings, a panorama of the valleys opens. The open verandas of residential houses are also an expression of the desire for space. In the same zone, white-washed cellars (buildings intended for wine storage), rock-cut and built presses (vessels for pressing grapes), ceramic pitchers (clay vessels for storing
wine) confirm the centuries-old tradition of winemaking.

სოფელი ჩხუტუნეთი (ხელვაჩაური)

Village of Chkhutuneti (Khelvachauri)

In the third - coastal zone of Ajara, there is a widespread step-terrace structure of homestead relief, which reveals the influence of the planning rules of homesteads in the regions of Western Georgia (Guria, Samegrelo, Imereti). This type of residences is characterized by one-story and two-story “oda-houses” built with planks and mixed building materials (wood, stone, brick), separation of decorative and agricultural courtyards, accentuation of the front yard with decorative gates, exotic plants, flower beds, paths and arbor. In the homestead part of the complex, there is a summer kitchen, a barn, a stall, a shed for firewood, a sty, hen-house, sheds for making alcohol, etc. The nature of the construction and the convenient connection of residential and agricultural terraces make the homestead complex a whole architectural organism.

In the same southwestern coast of Adjara, the Laz-type residential houses ("Okhoi") were distinguished, which represented a one- or two-story house with a lower floor built of stone, an open veranda, a living room and a hearth on a clay floor, which was later replaced by the main attribute of the hall - "Laz fireplace" with an enlarged shape and a body taken outside.

Laz fireplace surrounded by a semicircular arch of hewn stone is not characterized by the so-called shelf, eaves, which is an essential element of the fireplaces of the Colchian Oda-houses. The modified types of Laz houses common in Ajara are visually distinguished by decoratively decided "dolma" walls, which are obtained by incorporating stone blocks, shards, bricks or other materials into the timber (post-and-beam) system of wooden constructions.

The artistic appearance of such buildings is determined by the representation of the frame of horizontal, vertical and slant wooden piles, the color of the stone. The type of Laz house was most characteristic of the village of Sarpi inhabited by the Laz. However, modern two-story houses built on the basis of earlier dwellings are widespread here today. It is noteworthy that in the transitional regions of Upper Adjara, the so-called residential houses with Laz-Ajarian tradition (Keda - villages Makhuntseti, Zundaga, Vayo, Chinkadzebi; Khelvachauri - villages Vake, Skurdidi; Shuakhevi - Furtio, Oladauri, etc.), which are characterized by a façade solution with a timber frame and piles of stones.

ორნამენტული დეკორი (ქედა)

Ornamental decor (Keda)

მარანი. სოფელი ჩიქუნეთი (ხელვაჩაური)

A Wine Cellar. Village of Chikuneti (Khelvachauri)

Compared to other parts of Western Georgia, the residential buildings of Ajara are distinguished by their minimalist
decoration. however, the interior
of the residential houses features the original apron-shaped decoration of the ceiling - the tradition of decorating the wall cupboards and niches, window
sills ("surms"), door and window frames, balconies, wooden columns, railings, roof cornice ("saraybagh") with carvings (A. Demetradze's house in the Ethnographic Museum of Tbilisi).
Ornamental carvings confirmed in Ajarian houses and wooden mosques, originally decorated fireplace stones are generally considered to be the works of the Laz masters. During the 19th century and the beginning of the 20th century, the Laz were considered to be the best builders and the "ustas" (masters) of woodwork.

ნალია. სოფელი ჭალა (შუახევი)

A Barn. Village of Tchala (Shuakhevi)

The wooden houses, churches and mosques built by them are still preserved
in different parts of Georgia (Imereti, Guria, Samegrelo, Meskheti). Ornaments, plants, zoomorphic motifs, images of celestial luminaries made with relief and openwork techniques applied to residential and religious buildings, household items present the ancient mythological beliefs and ideas of Georgians about the world. Sometimes
the sacred center of the houses - the fireplace shelf - is decorated with inscriptions, flower-leaf motifs, tree of life, sun, water, earth, mountain, gun, sword or other conventional images, which, in addition to the function of protection from evil forces, proves that even during the period of the spread of Islam (XVII-XIX cc) in Ajara, the sign-image system characteristic of the artistic thinking of Georgians was preserved.

An integral part of residential homestead complexes are buildings with high architectural (carpentry) traditions - akhori/boseli (cattle stall), sabdzeli (cattle feed store),1 barn and nalia (cereal crops storage building), water mill, stone-built family oven, which originated from the soil of Ajara's harsh climatic conditions and is specially designed for corn and fruit drying.

Nalia-maize storage is a building used for drying wheat, millet, and later corn, with wooden poles supported by wooden piers, two-story or double-roofed planked rectangular storage, which is surrounded by balconies on one, two, or rarely on all three and four sides. Some models distinguished by graceful proportions and craftsmanship are also discerned by decorative embellishments. In order to provide a penetrating ventilation,on the parallel sides of the planked walls, there are narrow holes or open-work shutters. The access to the nalia floor was possible with a ladder.

ფურნე. სოფელი ზედა ქოქოლეთი (ხელვაჩაური)
A Bakery. Village of Zeda Kokoleti (Khelvachauri)

ხიდი. სოფელი ხაბელაშვილები (შუახევის)A

Bridge. Village of Khabelashvilebi (Shuakhevi)

The general picture of the residential buildings of Ajara brings out the diversity of Georgian folk architecture (carpentry), residential complexes, traditions coming from centuries and local features characteristic of the region due to the geographical area, which finds its main manifestation in the nature of attitude towards the landscape, functional purpose of the building and artistic understanding.

ალპური დასახლება აჭარაში

The Alpine Settlement inAjara

მასალებიბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
Niko Berdzenishvili Institute
of Batumi Shota Rustaveli State University

რედაქტორი: როინ მალაყმაძე	Editor: Roin Malakmadze
ტექსტი: მაია ჭიჭილეიშვილი	Text: Maia Tchitchileishvili
დიზაინი: გივი ნახუცრიშვილი	Design: Givi Nakhutsrishvili
ფოტოები: ნანა მეფარიშვილი	Photos: Nana Meparishvili
ჩანახატები: ჯემალ მიქელაძე	Sketches: Jemal Mikeladze
მთარგმნელი: თამარ სირაძე	Translation: Tamar Siradze
ბუკლეტში ასევე გამოყენებულია	The booklet also contains
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის	archive materials of
არქივის მასალები	Niko Berdzenishvili Institute

ბათუმი 2022 Batumi